წარსულის რეპრეზენტაცია ქართულ ფემინისტურ ნააზრევში

მაია ტაბიძე

აბსტრაქტი

სტატიის მიზანია აღწეროს და გაანალიზოს როგორ წარმოაჩენდნენ მე-19 საუკუნის დასასრულს და მე-20 საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ქართველი ფემინისტი ქალები წარსულს და ისტორიას. საარქივო მასალასა და მეორად წყაროებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ქალის როლი, გენდერული თანაასწორობა, ზოგადად საქართველოს ისტორია და რუსეთის გავლენა მასზე, არის ის ძირითადი თემები, რომელსაც ფემინისტები მე-19-მე-20 საუკუნეებში შეეხებოდნენ ისტორიულ კონტექსტში. ამ საკითხების ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს წარსული ქართველი ფემინისტების მხრიდან დიდწილად გაიდეალებულია, თუმცა განსხვავდება დომინანტური დისკურსისგან იმდენად, რამდენადაც ქალთა საკითხებს მოიცავს.

საკვანძო სიტყვები: ქალთა ისტორია, ისტორია, წარსული, წარსულის რეპრეზენტაცია, სახელმძღვანელო, ფემინიზმი.

შესავალი

ისტორიის ნებისმიერი სახელმძღვანელოს გარეკანს რომ დახედოთ, გაგიჭირდებათ ერთი ქალის სურათის პოვნაც კი. საქართველოს ისტორია გამარჯვებების, რაინდობის, კაცების მიერ შექმნილი ნარატივია კაცების შესახებ. მაგრამ ამავდროულად, ისტორია და მასზე წარმოდგენები და რეპრეზენტაცია თვითგანსაზღვრის, საკუთარი იდენტობის ფორმირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ამ პროცესში უდიდეს როლს არა მარტო თავად ისტორიული და ლეგენდარული პიროვნებები და პერსონაჟები, არამედ ის აქტორები თამაშობენ, ვინც ისტორიას წერენ, გვასწავლიან და განსაზღვრავენ ვინ და რა არის შენახვის და დამახსოვრების ღირსი.

ქალები და მათი შემოქმედება, როგორც წესი, ამ კატეგორიაში იშვიათად ხვდება. საქართველოში ცოტაა როგორც, მაგალითად, ისტორიის სახელმძღვანელოების ავტორი ქალების, ისე ისტორიაში წარმოდგენილი ქალების რაოდენობა (ხომერიკი 2012). ცხოვრების ყველა სფეროში მათ შორის წარსულის რეპრეზენტაციისას, ქალები ხშირად დავიწყებული, დაუფასებელი და ისტორიის ფურცლებს მიღმა დარჩენილი ჯგუფია. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში მამაკაცებს წამყვანი როლი აქვთ. ისინი მბრძანებლები, მეფეები, მებრძოლები არიან, ისტორიას `ქმნიან", ქალები კი პასიურ უმნიშვნელო როლებში გვევლინებიან. საქართველოს ისტორიაში ქალთა როლის ფემინისტური პერსპექტივიდან შეფასება ახლახანს დაიწყო, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ადრეულ ფემინისტურ ნააზრევშიც ვხვდებით ქალების მიერ ისტორიის შეფასების, მასში ქალის როლის და მდგომარეობის განსაზღვრის მცდელობებს.

ჩემი მიზანია აღვწერო და გავაანალიზო, თუ როგორ აფასებდნენ ქართველი საზოგადო მოღვაწე ქალები მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოს ისტორიას. მთავარი ამოცანებია შევაფასო: 1. როგორი წარმოდგენა ჰქონდათ ფემინისტ ქალებს წარსულში ქალის მდგომარეობაზე; 2. როგორ წარმოაჩენდნენ წარსულის და მათი თანამედროვეობის ქალებს იმ პერიოდის საზოგადო მოღვაწე კაცები; 3. რამდენად ვხვდებით იმდროინდელი ქართველი ფემინისტების შეფასებებს თანამედროვე სახელმძღვანელოებში. ამ პერიოდში მოღვაწე ქალებს ფემინისტებს ვუწოდებ, როგორც ქალების ემანსიპაციით და გაძლიერებით დაინტერესებულ ადამიანებს, თუმცა ჩემ მიერ განხილულ ტექსტებში სიტყვა `ფემინისტი" მხოლოდ კატო მიქელაძის პუბლიცისტიკაში გვხვდება, სხვები საკუთარ თავს ამ სიტყვით არ მოიხსენიებენ.

სტატიაში დავეყრდნობი მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში შექმნილ საარქივო მასალას, რომელიც მოიცავს კატო მიქელაძის, ეკატერინე გაბაშვილის, ნინო ტყეშელაშვილის, ლიდია მეგრელიძის და განდეგილის პუბლიცისტურ ნაშრომებს (როგორც დაბეჭდილს, ისე გამოუქვეყნებელს) და მათ გამოსვლებს. ეს ის ქალები არიან, ვინც აღნიშნულ პერიოდში ქალების გაძლიერებისთვის იბრძოდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ქალების რაოდენობა ძალიან ცოტა იყო. როგორც წესი, ძირითადად გარკვეული შეძლების მქონე ქალებს შეეძლოთ იმ დროს განათლების მიღება და საჯაროდ აზრის გამოთქმა. სწორედ განათლებაზე წვდომა იყო იმდროინდელი ფემინისტების ძირითადი მოთხოვნა, თუმცა ისინი ეხებოდნენ სხვა საკითხებსაც, როგორიცაა ეკონომიკური ჩაგვრა, ქალის როლი საზოგადოებასა და ოჯახში, პროსტიტუცია და ა.შ.

აქვე დავძენდი, რომ საქართველოში ქალთა ისტორიის ძალიან ცოტა საარქივო კვლევა არსებობს. წარსულის რეპრეზენტაცია ქართულ ფემინისტურ ნააზრევში კი არასდროს ყოფილა შესწავლის საგანი.

თავდაპირველად, მოკლედ შევეხები მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოში არსებულ მდგომარეობას. 1918 წლამდე საქართველო ცარისტული რუსეთის კოლონიაა. 1918-1921 წლებში მცირე დროით, საბჭოთა რუსეთის შემოჭრამდე, ხდება დამოუკიდებელი. მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული ძლიერდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც სათავეში უდგანან ისინი, „ვინც ვერ ურიგდებოდნენ კოლონიურ პოლიტიკას და მოითხოვდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და დაცვას, მის ეკონომიურ აღორძინებას და პოლიტიკურ დემოკრატიზაციას, სხვა ხალხებთან ქართველი ხალხის ეროვნული თანასწორუფლებიანობის აღიარებას, ადგილობრივი თვითმმართველობის მინიჭებას ქართველი ხალხისათვის, ქართული ენისა და კულტურის დაცვას და დაუბრკოლებელ განვითარებას." (გონაშვილი 1973). ამ პერიოდში ქალებიც აქტიურად ერთვებიან საზოგადოებრივ საქმიანობაში. იქმნება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომლის აქტიური წევრებიც წარჩინებული ქალები არიან, ასევე ქალთა წრეები და კლუბები, რომლებიც ქალების სხვადასხვა პრობლემებზე მუშაობენ (ხომერიკი და ჯავახიშვილი 2005). ქალები საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში იბრძვიან განათლების და ეკონომიკური უფლებებისთვის. ამ დროს ისტორია, წარსული მემკვიდრეობა, ქართული ენა და კულტურა განსაზღვრავს ეროვნული იდენტობის ფორმირებას. აღნიშნულ პირობებში იმდროინდელი საზოგადო მოღვაწე ქალები საკუთარი გადმოსახედიდან აფასებენ ისტორიას.

მათ ნაშრომებში ხშირად მეორდება სიტყვები `წარსული," `ისტორია," `ძველი," რომელიც კონტექსტიდან გამომდინარე, საქართველოს ისტორიაზე საუბრისას გამოიყენება. შინაარსის ანალიზის საფუძველზე გამოვყავი თემატური კატეგორიები, რაც იმ განმეორებადი თემების საფუძველზე გავაკეთე, რომელიც სხვადასხვა ავტორებთან ისტორიასთან და წარსულთან მიმართებაში ჩნდებოდა. შედეგად, რამდენიმე ძირითადი მოტივი გამოვლინდა:

1. საქართველოს ისტორია – გულისხმობს როგორი იყო ქართველი ფემინისტების დამოკიდებულება საქართველოს წარსულისადმი

საქართველო გვევლინება, როგორც გარეშე მტრებისა და მუდმივი შემოსევების მსხვერპლი, მაგრამ გადარჩენილი და საამაყო წარსულის მქონე ქვეყანა - `მტრებმა მარტო კალთები ჩამოაცალეს ჩვენ სამშობლოს და დაპყრობა მისი მაინც ვერ შეძლეს" (მიქელაძე 1918), მაგრამ მუდმივი შემოსევებისგან ტანჯული ქვეყანა მაინც ამაყად იდგა თავის საფუძვლებზე, რომელსაც ქართველი ფემინისტების მიხედვით, იმდროინდელი ქართველების რაინდობას და ერთიან სულისკვეთებას უნდა ვუმადლოდეთ.

ისტორიაზე საუბრისას ხშირად ვხვდებით წარსული ქართველის და `აყვავებული საქართველოს" ერთგვარ იდეალიზებას. `გლეხი, ბატონი, ქალი თუ ბავშვი თავგამოდებით იცავდნენ მამულს გარეშე მტრისაგან" (მეგრელიძე, თარიღი უცნობია) - წარსულის საქართველოში არსებობს ერთიანობა და ეროვნული თვითშეგნება. მტრის წინააღმდეგ ქალი და მამაკაცი ერთსულოვნად იბრძვის, რაც მათში ქმნის `გმირულ სულს,"- წერს მეგრელიძე.

2. ქალი მონარქები – გულისხმობს, თუ რომელი ქართველი ქალი მონარქები ხდებიან ქართველი ფემინისტებისთვის განსჯის საგანი. როგორ აფასებდნენ ფემინისტები ქალ მონარქებს საქართველოს ისტორიაში, რას განასახიერებენეს მონარქები მათთვის

როგორც ფემინისტურ, ისე იმ დროის გაბატონებულ დისკურსში, ხშირად ვხვდებით ქართველი მონარქი ქალების - თამარის და ქეთევან დედოფლის იდეალიზებას. თამარ მეფე, როგორც `აყვავებული საქართველოს დამაგვირგვინებელი," ქალების პოლიტიკური აქტივობის, ასევე გენდერული თანასწორობის დამადასტურებლად მოყავთ.

`ქართველი ძველი დედები თავიანთი სულიერი სიძლიერით და გონებრივი სიმაღლით მამაკაცებს თავს ახრევინებდნენ და ისენი იძულებული იყვნენ სიმართლე ეთქვათ მათზე და ამბობდნენ კიდეც" (მიქელაძე 1917). საინტერესოა ამ უკანასკნელი ციტატის ქვეტექსტი. ის, რომ კაცები იძულებულები იყვნენ სიმართლე ეთქვათ, მიუთითებს იმაზე, რომ კატო მიქელაძე უშვებს, რომ კაცები შეიძლება სიმართლეს არ ამბობენ ქალებზე და გარკვეულწილად გაცნობიერებული აქვს ისიც, რომ ქალისთვის ისტორიაში თავის დამკვიდრება არც ისე ადვილია, ამიტომ ქალები `იძულებულს" ხდიან მამაკაცებს მათზე სიმართლე თქვან. გარდა ამისა, კატო მიქელაძეს თამარ `მეფე" ქალის პოლიტიკური აქტივობის მხარდასაჭერად და მოწინააღმდეგეებთან დასაპირისპირებლად მოჰყავს და თავისი არგუმენტის განსამტკიცებლად იმ ცუდ მამაკაც მეფეებზე მიუთითებს, რომელიც

ისტორიაში არსებობდნენ (მიქელაძე 1917). ასევე თამარ მეფე ხშირად გამოიყენება იმდროინდელი ქალის ჩაგრულ მდგომარეობასთან დასაპირისპირებლად.

3. სოციალურ უთანასწორობაზე ხაზგასმა გულისხმობს – თუ როგორ აფასებდნენ ქართველი ფემინისტები კლასობრივ განსხვავებებს

უნდა აღინიშნოს, რომ ჩემს მიერ განხილული ავტორები წარჩინებული ოჯახებიდან იყვნენ, თუმცა ღარიბ ქალებს თავისი სიტყვითა და საქმით აქტიურად გულშემატკივრობდნენ. კლასობრივი განსხვავებების და ჩაგვრის თემატიკა რევოლუციურ-მარქსისტულ მოძრაობასთან ერთად საქართველოშიც გავრცელდა და ფემინისტებში აქტიური გამოხმაურება ჰპოვა.

ლიდია მეგრელიძე წერს: `ქართველ ერშიაც, როგორც ყველა კულტურულ ერში, თავიდანვე მოძრაობდა ორი სახეობა, ორი წოდება, მიწის მუშა და ბატონი. თავისთავად ცხადია, ბატონისა და გლეხის ინდივიდუალური შეგნება-განცდა რამოდენიმედ განსხვავდებოდა ერთი-მეორისგან." ეს ორი სოციალური ჯგუფი ერთიანდებოდა ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე და ერთგვარი `მამაშვილური" დამოკიდებულება ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ქალები თავისი წოდების შესაბამისად არსებობენ, ფიქრობენ და იზიარებენ ცხოვრებას მამაკაცებთან, მეგრელიძე აღიარებს ქალის ეკონომიკურად და სოციალურად დაქვემდებარებულ მდგომარეობასაც ოჯახში და მის ეკონომიკურ `მონობას". ის წერს: `ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ ქალს ახალი ბატონი გაუჩნდა მამაკაცის სახით." საინტერესოა, რომ ეს მოსაზრება ძალიან ჰგავს იმდროინდელი მარქსისტების (მაგ. ლენინი და კოლონტაი) შეხედულებებს ქალის ჩაგვრაზე კაპიტალისტურ სისტემაში. ქალი მათთვის ორმაგად ჩაგრული ჯგუფი იყო მამაკაცზე ეკონომიკური დამოკიდებულების გამო. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ იმდროინდელი ფემინისტების დიდი ნაწილი რევოლუციას დიდი იმედით შეჰყურებდა.

4. ქალების ეკონომიკური აქტივობა – გულისხმობს ქალების შრომას და ეკონომიკურ მდგომარეობას წარსულში

გარდა იმისა, რომ ქალის ეკონომიკური მონობა და დაქვემდებარება ქართულ ფემინისტურ ნააზრევში, განსაკუთრებით 1917 წლიდან მოყოლებული, მნიშვნელოვანი საკითხი ხდება, ისინი განიხილავენ ქალის გარიყვას სამსახურიდან. კატო მიქელაძე წერს `რკინის გზებზე უარყოფდნენ ქალების სამსახურს, ქალს ცუღლუტობა-არშიყობის მეტი არ ძალუძსო. რომ სხვადასხვა მაგალითები არ მოვიყვანო, ეს სამი ფაქტიც ნათლად ადასტურებს, რომ ქალს ყოველ საპატიო დარგიდან სდევნიდნენ" (მიქელაძე 1917). ამ აზრს იმეორებს ლიდია მეგრელიძე და იმის დასტურად, რომ ქალს ისტორიულად დიდი წვლილი მიუძღვის სამეურნეო სფეროში, ისტორიულ წყაროებს იმოწმებს (მეგრელიძე, თარიღი უცნობია). ქალების ეკონომიკურ მდგომარეობაზე საუბარი წარსულში ნაკლებად გამოკვეთილი თემაა. თუმცა ვხედავთ, რომ მეგრელიძე წარსულში ქალებს ეკონომიკურად აქტიურ აგენტებად წარმოაჩენს, ხოლო კატო მიქელაძე ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ სამსახურებიდან ქალების განდევნა როგორც წარსულში, ისე აწმყოში ჩვეული მოვლენაა.

5. ქალის და მამაკაცის ურთიერთობა წარსულში – გულისხმობს ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის შეფასებას წარსულში

ქართველ ფემინისტებთან ქალის და კაცის ურთიერთობის ორი ძირითადი ფორმის გამოიყოფა შეიძლება: ცოლ-ქმრობა/რომანტიკული სიყვარული და დედა-შვილობა. სიყვარული და ცოლ-ქმრობა წარსულში ასევე იდეალიზებულია. ქალს ამ ურთიერთობაში ხშირად დაქვემდებარებული პოზიცია მიეწერება, რომელიც სასურველად და სანიმუშოდ მიიჩნევა. `მაშინ დედაკაცი კაცში ხედავდა თავის მომხრეს, თავის ამხანაგს", - წერს ეკატერინე გაბაშვილი. ერთი მხრივ, სწორედ ამხანაგური ურთიერთობა ცოლ-ქმარს შორის არის იდეალიზების საფუძველი. `ჩვენს ძველ დედებს შეეძლოთ არამარტო სქესობრივად მოხიბვლა მამაკაცებისა, არამედ თავიანთი ადამიანური ღირსებითაც, რომლის დობასა და მეგობრობას ძველი ქართველნი ნატრობდნენ და აფასებდნენ", - ამბობს კატო მიქელაძე და დღევანდელობას უპირისპირებს, რომელშიც მისი თქმით, ეს `ამხანაგური განწყობილება" დაიკარგა (მიქელაძე 1917). მეორე მხრივ, მამაკაცი მაინც დომინანტურ პოზიციაში გვევლინება და ქალის აგენტობა კაცთან პირად ურთიერთობაში მეორე პლანზეა გადასული. კაცი ქალის სულიერად, ზნეობრივად ამამაღლებელია, ქალი მას ხელს უწყობს ბრძოლაში, `იარაღს უფერავდა და ნუგუზალს უმზადებდა" (გაბაშვილი თარიღი უცნობია). `ქართველი ქალი ომიდან დაბრუნებულ ვაჟკაცს ვერ გაუფენდა ცივ ხალიჩას, არამედ ის გაუხსნიდა თბილ გულს, რომელიც მისთვის ფეთქდა უზენაესი სიყვარულით" (მეგრელიძე თარიღი უცნობია). `ქალი მამაკაცს აჰყოლია და დაჰყოლია" და შესაბამისად, მის ზნეობაზე პასუხისმგებლობა მამაკაცს მიეწერება. იგივე აზრს იმეორებს კატო მიქელაძე შედარებით ახლო წარსულთან - რუსეთის საქართველოში გაბატონებასთან დაკავშირებით - `წარჩინებული წოდების ქალებიც თავიანთ მამაკაცებთან ერთად გაყვენ გრძნობის უსაზღვროებას და დაადგნენ გადაგვარების გზას" (მიქელაძე 1917). როგორც ვხედავთ ისტორიული კაცი რაინდია, აქტიურია, წინ მიუძღვის, ზნეობრივად ამაღლებს და გაანათლებს ქალს, მას მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება, მაშინ როცა ქალი უკანასკნელი დაქვემდებარებულ, მსახურის პოზიციაში მოიაზრება პირად ურთიერთობებში.

ამისგან განსხვავებით, ფემინისტების მიხედვით წარსულში დედა ოჯახში პატივცემული ფიგურა იყო. დედობა, როგორც ქალის უმნიშვნელოვანესი დანიშნულება, ფრაგმენტულად ჩნდება ყველა ავტორთან და `დედა/დედები" ქალის სინონიმად გამოიყენება. იმ პერიოდში `ქალი" არც ისე დადებითი კონოტაციის მატარებელი იყო, ამიტომ ყველა `დედაკაცს" ან `დედას" იყენებდა. ამის მიზეზი დიდი ალბათობით ილია ჭავჭავაძის სიტყვა `ქალისადმი" უარყოფითი დამოკიდებულება და `დედაკაცის" იდეალად დასახვა უნდა ყოფილიყო.

6. გენდერული თანასწორობა გულისხმობს იმას, თუ როგორ აფასებდნენ ფემინისტები ისტორიას გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით, რაც, თავის მხრივ, მოიცავს თანასწორობის არსებობის შეფასებას, უთანასწორობის და მისი არეალის გამოვლენას და წარსულში ქალების ბრძოლას თანასწორობისთვის

როცა გენდერული თანასწორობის შესახებ ვსაუბრობთ, აუცილებელია გავიაზროთ რას ნიშნავდა გენდერული თანასწორობა იმდროინდელი ფემინისტებისთვის. ბუნებრივია, მე-19- და მე-20 საუკუნეების მიჯნაზე თანასწორობის ისეთი გაგება არ არსებობდა, როგორც დღეს გვაქვს. ძი-

რითადი კონცენტრაცია ხდებოდა განათლების უფლებასა და ქალის ეკონომიკურ გაძლიერებაზე. იმდროინდელ ამერიკაში არსებული სუფრაჟისტული მოძრაობისგან განსხვავებით, ქალების პოლიტიკური უფლებები დღის წესრიგში ისეთი სიმწვავით არ იდგა და მხოლოდ ფრაგმენტულად ვხვდებით ზოგიერთ ავტორთან. ამასთან, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი საკანონმდებლო დოკუმენტით, დამოუკიდებლობის აქტით, 1918 წელს ქალებს ხმის მიცემის უფლება ისედაც მიენიჭათ (საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი 1918), თუმცა იმდროინდელ საზოგადო მოღვაწეებსა და პოლიტიკოსებს ქალები აქტიურად ეხმაურებოდნენ და აკრიტიკებდნენ. ამის კარგი მაგალითია კატო მიქელაძის მიერ აკაკი ჩხენკელის კრიტიკა, როცა მას დამფუძნებელი კრების სხდომაზე სიტყვით გამოსვლის საშუალება არ მისცეს.

წარსულში გენდერულ თანასწორობაზე საუბრისას ორ ტენდენციას ვაწყდებით. ერთი მხრივ, გენდერული თანასწორობა ისტორიულად არსებული მოცემულობაა, რომელიც რიგი მიზეზების გამო შეიცვალა. ეკატერინე გაბაშვილი ამბობს: `ქართველი ქალი არასდროს არ ყოფილა გათელილი ეროვნულ ცხოვრების წინსვლაში, იმას ყოველთვის საპატიო ალაგი სჭერია და ჩვენც ნუ გადაუხვევთ ჩვენ ეროვნულ ტრადიციებს" (გაბაშვილი, თარიღი უცნობია). ქართული კულტურის შექმნა და მწიგნობრობის შენარჩუნება ისტორიული ძნელბედობის ჟამს ქალის დამსახურებად მოიაზრება. წარსულში მას პატივს სცემდნენ და ზნეობრივ მაგალითად მოიაზრებდნენ. `ქართველი ქალი არასოდეს უპიროვნო არსებას არ წარმოადგენდა. მის თვითმოქმედებას არც ოჯახში და არც საზოგადოებაში ხელოვნურად წინ არაფერი არ ეღობებოდა, რომლის გამო, მას როგორც ერთზე, ისე მეორეზე უდიდესი გავლენა ჰქონდა" (მიქელაძე 1918). ქალი, როგორც კერძო (ოჯახი), ისე საჯარო (საზოგადოება) სფეროში სრულუფლებიანი აქტორი იყო. ლიდია მეგრელიძე განამტკიცებს ამ აზრს და ამბობს, რომ `ქართველ ერში თავიდანვე განვითარდა სქესთა თანასწორობის პრინციპი" (მეგრელიძე თარიღი უცნობია).

მეორე მხრივ, ქართველი ფემინისტები საუბრობენ წარსულში ქალის დაქვემდებარებულ და მძიმე მდგომარეობაზე, უუფლებობაზე და მამაკაცის მხრიდან ანტიფემინისტურ განწყობაზე. ნინო ტყეშელაშვილი წერს `ის იყო მონა ოჯახის და ეკონომიურადაც დამოკიდებული მამაკაცზე. ამგვარათ მის ოჯახურ მონობას ეკონომიური მონობაც დაერთო" (ტყეშელაშვილი 1922). ტყეშელაშვილი ქალის ჩაგვრის ეკონომიკურ საწყისებზეც საუბრობს, რაც შედარებით გვიანდელი რევოლუციურად განწყობილი ფემინისტებისთვისაა დამახასიათებელი. `ისტორია ქალისა, ეს ისტორიაა ტანჯვისა, რომელსაც დედაკაცი ათასის წლებით ატარებდა, კვნესოდა ამ მძიმე ტანჯვის ტვირთქვეშ, მაგრამ ხსნა არ იყო" (განდეგილი 1915). ქალის ისტორიული ჩაგვრის აღწერას განსაკუთრებულად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კატო მიქელაძე. თავის არაერთ ნაშრომში, რომელიც `ხმა ქართველი ქალისა"-ში იბეჭდებოდა, ის საუბრობს ქალის მიერ პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლებების არქონაზე წარსულში, მათ გარიყვაზე `ყოველს საპატიო დარგიდან." `ქალები წარმოადგენდნენ მოსამსახურე კლასს, რომლებსაც ძალაუნებრივად მონაწილეობა უნდა მიეღოთ მამაკაცების ჭირსა და ლხინში, თუ საჭირო იყო თავი გაეწირათ მათთვის, მაგრამ არავითარი ხმა და უფლება მათ არ ჰქონდათ, არც ოჯახში და არც საზოგადოებაში" -წერს კატო მიქელაძე. ის ასევე საუბრობს ისტორიულად კაცების დომინაციაზე, რომელიც ქალს მოქმედების ასპარეზს არ უტოვებდა. `ისტორია არის ისტორია მამაკაცებისა: მათი ომებისა და რევოლუციისა, მათი შუღლისა და ამბოხებისა, სადაც დედრობითი სქესი პოლიტიკურ და მოქალაქურ ცხოვრებაში უკანასკნელ ხანამდე არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა" (მიქელაძე1917).

არანაკლებ მნიშვნელოვანია,რომ კატო მიქელაძესთან იკვეთება ქალების ისტორიული ბრძოლა თანასწორობისთვის, რაც გულისხმობს იმის ანალიზს, თუ რამდენად აცნობიერებდნენ წარსულში ქალები მათ უთანასწორო მდგომარეობას და როგორ იბრძოდნენ თანასწორობისთვის. `თუ ვისმეს აქვს უფლება თავის გაჭივრებაზე ლაპარაკისა, თავისი კლასობრივი, თუ წოდებრივი ინტერესის დაცვისა, მით უფრო მეტი უფლება გვაქვს ქალებს და მეტი საბუთიც ჩვენი საერთო ტანჯვა-მონობის წინააღმდეგ ამხედრებისა" (მიქელაძე 1918). მიქელაძეს ეხმიანება ტყეშელაშვილი და ამბობს: `უხსოვარ დროიდან იბრძოდა ქალი სწორუფლებისთვის" (ტყეშელაშვილი 1922). მართალია, ორივე ავტორი აცხადებს, რომ ქალები წარსულში იბრძოდნენ თანასწორობისათვის და ამის საჭიროება და უფლება აქვთ,კონტექსტიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ისინი ზოგადად ქალებზე საუბრობენ და მათ შორის ქართველ ქალებსაც მოიაზრებენ, მაგრამ არ მოჰყავთ კონკრეტული მაგალითები ამ ბრძოლის საილუსტრაციოდ, უფრო მეტად კი ქალის პოლიტიკურ და ეკონომიკურ აქტიურობაზე კონცენტრირდებიან.

7. ახლო წარსული და რუსეთის როლი

ახლო წარსულის კონტექსტში ხშირად ვხვდებით რუსეთის გავლენის თემასაც. `ტარას ბულბაზე და ანეგინზე აღზრდილი თაობა თანდათან კარგავდა დედაკაცისადმი პატივისცემას და ამ ნიადაგზე განათლებულმა პირებმა ქართული ოჯახური ცხოვრება რუსულ დომოსტროიაზე ააგეს და შინა და გარედ ერთადერთი ავტორიტეტი მამაკაცი გახდა" (მიქელაძე 1917), ანუ ცარისტული რუსული ზეგავლენა ქართულ ოჯახზე ნეგატიურ კონტექსტში განიხილება, როგორც კაცის დომინანტური პოზიციის განმტკიცების პროცესი. რუსეთის შემოსვლას საქართველოში მიქელაძე `უცხოურ გავლენად" მოიხსენიებს, რომელმაც ქალს თავისუფლება წაართვა.

ქართული ფემინისტური ნაზრევი და დომინანტური დისკურსი

ცხადია, ფემინისტი ქალები არ იყვნენ ერთადერთი აგენტები ისტორიული დისკურსის წარმოებაში. უფრო მეტიც, სავარაუდოდ, ბევრად დიდი გავლენა ჰქონდათ იმ დროის მამაკაც მოღვაწეებს. იმდროინდელი კაცი საზოგადო მოღვაწეების პუბლიცისტიკაში კიდევ უფრო დიდ როლს იკავებს ისტორიის და წარსულის, როგორც ერის თვითგამორკვევის და ეროვნული იდენტობის ფორმირების საფუძველი. ილია ჭავჭავაძე წერდა, რომ ერი ეცემა და არსებობას წყვეტს, როცა თავის ისტორიას ივიწყებს, ვინაიდან `წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი" (ჭავჭავაძე 1890). ასევე, ილია ჭავჭავაძეს კარგად ჰქონდა გათვითცნობიერებული ისტორიის წერის როლი ეროვნული იდენტობის ფორმირების პროცესში, თუმცა, როცა ქალთა საკითხზე მიდგება საქმე, იმ დროის მამაკაცებისთვის დამახასიათებელია თანამედროვე ქალების კრიტიკა და წარსულის სამაგალითო `დედებთან" შედარება. `ვაი, რომ `დედაკაცნი" წავიდნენ, აღარ გვყვანან და მარტო `ქალები"-ღა დაგვრჩნენ" (ჭავჭავაძე 1898) - მისტირის ილია წარსულის ქალებს და ამ შემთხვევაში სიტყვა, `დედაკაცი" დადებითი კონოტაციის მატარებელია, `ქალი" კი დაგმობილი.

როცა ქართველი ფემინისტები წარსულში ქალის მდგომარეობაზე და ისტორიაში ქალის როლზე საუბრობენ, ეროვნულობის და ქართველობის თემა მათთვის ნაკლებ მნიშვნელოვანია. მათი თანამედროვე მამაკაცების შემთხვევაში კი ქალების ჩაგვრა და დაქვემდებარება აქტიური განსჯის საგანს არ წარმოადგენს, თუმცა წარსულის ქალი გაიდეალებულია და ზოგადად, ქალი ხშირად მოიხსენიება დედის, ოჯახის ბურჯის, ენის და კულტურის დამცველის კონტექსტში (ხომერიკი და ჯავახიშვილი 2005). მიუხედავად იმისა, რომ არსებობდნენ ქალების გულშემატკივარი კაცებიც, ქალის საკითხი ეროვნულ საკითხს უფრო ებმოდა. ამასთან, სამწუხაროდ, კაცების, განსაკუთრებით, ილია ჭავჭავაძის გავლენა ბევრად დიდი იყო, ვიდრე ქალებისა. ამაზე მიუთითებს როგორც არქივებში ქალების და კაცების მასალების რაოდენობას შორის ძალიან დიდი განსხვავება, ისე ის ფაქტიც, რომ ქალების მიერ დაწერილი სიტყვები და სტატიები ხშირად საერთოდ არც კი ქვეყნდებოდა. შესაბამისად, შეიძლება იმ დროინდელი მამაკაცი საზოგადო მოღვაწეების ნამუშევრები დომინანტურ დისკურსად მოვიაზროთ.

ქალთა ისტორია დღეს

იმ დროის დისკურსის თანამედროვეობასთან შედარებისას იგივე პრობლემებს და იდეოლოგიას ვაწყდებით ისტორიის წარმოების თვალსაზრისით, რაც ერთი საუკუნის წინ იყო გაბატონებული. მართალია, მე-19-მე-20 საუკუნეებში მედიუმები ისეთი მრავალფეროვანი ნამდვილად არ ყოფილა, როგორც დღეს, თემები და ამ საკითხების წამოჭრის მოტივაცია ბევრ ასპექტში მეორდება.

დღევანდელ საქართველოში, სადაც ისტორიაზე ცოდნას ბევრი სხვადასხვა ინსტიტუტი აწარმოებს (პირველ რიგში, ძალაუფლების მქონე აქტორები), მაინც ვფიქრობ, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სკოლის სახელმძღვანელოებს. 2004 წლიდან საქართველოს სკოლები ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ შექმნილი ერთიანი გეგმით, რომლის მესამე ვერსია 2011 წლიდან ამოქმედდა. ამ გეგმის ფარგლებში შექმნილი ისტორიის სახელმძღვანელოების ანალიზი ორი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა: ნაციონალიზმის ნარატივს დიდი ადგილი ეთმობა და ქალები ძალიან სუსტად არიან წარმოდგენილი. ისტორიის სწავლებაში შეინიშნება ასევე სოციალური ისტორიის ნაკლებობა. რაც ასევე კავშირშია ქალების ნაკლებ რეპრეზენტაციასთან. დღესაც საქართველოს ისტორია არის მეფეების, გამარჯვებების ნარატივი (გოგავა 2013). აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ისტორიის ამ ნაკლოვანებას აღიარებდნენ და აკრიტიკებდნენ. 1880-იან წლებში იმ დროის ცნობილმა ისტორიკოსმა დ. ბაქრაძემ ისტორიოგრაფიის ყველაზე ფუნდამენტურ ნაშრომს `ქართლის ცხოვრებას" პირდაპირ უწოდა `მეფეთა ისტორია" და სოციალური ისტორიის წერის საჭიროებაზე მიუთითა (მელიქიშვილი 1973). თუმცა იმ დროში რესურსების სიმწირე არ აძლევდათ იმ დროის ისტორიკოსებს საშუალებას თავად დაეწერათ ახალი ისტორია.

საბოლოოდ,წარსულში და დღესაც, მიუხედავად რიგი ცვლილებებისა, ქალების ისტორია მხოლოდ ფრაგმენტულად, ისიც ფემინისტების ნააზრევში გვხვდება. ბევრმა შეიძლება თქვას, რა მნიშვნელობა აქვს ქალების წარმოდგენას ისტორიაში, ჩემთვის იმის ცოდნით, რას აკეთებდნენ ქალები საფრანგეთის რევოლუციის დროს, ამ რევოლუციაზე წარმოდგენა არ იცვლებაო (ბოკი და ბრაუნი 2001). ვფიქრობ, საჭიროა გავაცნობიეროთ, რომ ისტორია არ არის უბრალოდ ფაქტები

წარსულზე, არამედ ესაა აქტიური პროცესი, რომელიც იქმნება აწმყოში და ურთიერთქმედებს მასთან. საქართველოში ისტორია დიდწილად იდეოლოგიზირებულია (გოგავა 2013). ამასთან, ყველა ცნებას და მოვლენას თავისი ისტორია აქვს, სიტყვებიც არ არსებობს ისტორიული კონტექსტის გარეშე. ამ პროცესში გენდერის როგორც ისტორიული ანალიზის კატეგორიის შესწავლა ძალიან დიდი მნიშვნელობის მატარებელია გენდერული უთანასწორობის მიზეზების გასაგებად და აღმოსაფხვრელად (სკოტი 1986). ის გარდა ინფორმაციისა, ლეგიტიმურობას მატებს დღევანდელ ფემინისტურ საქმიანობას და გენდერული უთანასწორობის აღიარებას. მითუმეტეს, როცა საბჭოთა კავშირის და რიგი სხვა მიზეზების გამო ფემინიზმი და ქალთა უფლებები დასავლეთიდან შემოსულ უცხო მოვლენად მოიაზრება საქართველოში.

დასკვნა

ამრიგად, ქალის როლი, გენდერული თანასწორობა, ზოგადად - საქართველოს ისტორია და რუსეთის გავლენა მასზე, არის ის ძირითადი თემები, რომელსაც ფემინისტები მე-19-მე-20 საუკუნეებში შეეხებოდნენ ისტორიულ კონტექსტში. ამ საკითხების ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს წარსული ქართველი ფემინისტების მხრიდან დიდწილად გაიდეალებულია. წარსულში გენდერული თანასწორობის შეფასებები კი განსხვავდება, ხშირად ერთი და იგივე ავტორების შემთხვევაშიც კი. შეიძლება, ეს ფემინისტური აზრის განვითარებას უკავშირდებოდეს, რაც გულისხმობს, რომ შესაძლოა დროთა განმავლობაში ქართველი ფემინისტები ნელ-ნელა მიდიოდნენ ქალის ისტორიულად ჩაგრული მდგომარეობის აღიარებამდე. თუმცა, მასალის სიმწირის და ზოგჯერ თარიღების არცოდნის გამო განზოგადება ძნელია. ერთი რამ, რაზეც ყველა თანხმდება, ქალის ჩაგვრის და გენდერული თანასწორობის არარსებობაა მათ ეპოქაში.

საინტერესოა, რატომ მოყავთ წარსულის და ისტორიის მაგალითები ფემინისტებს. უმრავლეს შემთხვევაში მოტივაცია თანამედროვეობასთან შედარება და იმ პერიოდში არსებული პრობლემების დასაბუთებაა. გამონაკლისი არც ქალის მდგომარეობა და გენდერული თანასწორობის საკითხია, რომელიც ამ ნაშრომების მიხედვით აღიარებული პრობლემა იყო ქართველ ფემინისტების მიერ. საკითხის დასაბუთება შედარების და მაგალითის საფუძველზე ხდება, სადაც ახლანდელი დრო ყოველთვის „წაგებულია" წარსულთან არგუმენტში. იგივე ტენდენციას ვხვდებით მამაკაცი ავტორების შემთხვევაშიც, თუმცა, ამ უკანასკნელთ ნაკლებად აინტერესებთ ქალების უფლებრივი მდგომარეობა და ქალს, როგორც წესი, დედის როლში ვხვდებით, რომელიც უმთავრესად მხოლოდ ეროვნულ საკითხთან ბმაში გვხვდება.

მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ფემინისტ ქალებს ჯერ არ ჰქონდათ ეს გაცნობიერებული, მაგრამ ნაივურად უკვე ხვდებოდნენ ქალთა შესახებ ისტორიის წერის აუცილებლობას. ისინი ქალებს უკვე ერთიან, მამაკაცებისგან განსხვავებულ, ჩაგრულ ჯგუფად მოიაზრებენ, რომელსაც ისტორიული აგენტობა გააჩნია. წარსული მაგალითები და ისტორია მათთვის მნიშვნელოვანია, რათა ცალკეული საკითხები დაასაბუთონ, არგუმენტები გააძლიერონ, ქალის არსებობა უფრო გლობალურ ჭრილში განიხილონ. მოცემულ ტექსტებში გამუდმებით ხდება იმის მტკიცება, რომ ქალი არსებობდა და არსებობს, რომ მისი ცხოვრება და მდგომარეობა იცვლებოდა, რომ ის გარკვეულ როლს თამაშობდა ისტორიაში. მართალია, არ არსებობს გენდე-

რის, როგორც ისტორიული ანალიზის კატეგორიის ცნება, არსებობს მცდელობა ქალის ისტორიულ რუკაზე დატანისა. ამასთან, ქალების ისტორიის მკვლევარებისთვის საინტერესოა ისიც, თუ როგორ წერდნენ ისინი ქალების შესახებ. იმ პერიოდის ფემინისტებისთვის ქალი ისტორიის ნაწილია, თანამონაწილეა და გარკვეული როლიც შეაქვს მის ფორმირებაში. თუმცა, მიზნებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, ქალების ისტორია როგორც ერთიანი ისტორიის ნაწილი, ისე ცალკე გამოყოფილი თემა შეიძლება გახდეს.

ბოლოს დავძენდი, რომ ქალების შემოქმედებიდან არქივში ძალიან მწირი მასალაა შემორჩენილი, რაც განპირობებულია მათი, როგორც ქალების, როლის დაკნინებით, ასევე საბჭოთა ცენზურის გამო მასალის დიდი ნაწილის განადგურებით. დღეს ქალები და ფემინისტური ბრძოლის საკითხები ისტორიაში მხოლოდ ფრაგმენტულად ჩნდება და ძალიან ცოტა ყურადღება ეთმობა. დომინანტური დისკურსიდან ქალთა ისტორიის გამორიცხვა და მასალის სიმწირე, თავის მხრივ, მკვლევარებს რიგ შეზღუდვებს გვიქმნის. პირველ რიგში, ბევრი იმდროინდელი მოაზროვნე ფემინისტურად განწყობილი ავტორი ფოკუსს მიღმა რჩება. ასევე არ გვაქვს საშუალება დავაკვირდეთ და შევადაროთ წლიდან წლამდე როგორ ცვლიდნენ ან ამყარებდნენ ქალები თავიანთ არგუმენტებს ისტორიის და გენდერის შესახებ. მაგრამ მაინც შემორჩენილია სიტყვები, რომლის წარმოთქმის საშუალება თავის ეპოქაში ამ ქალებს არ მიეცათ. საჭიროა, სწორედ ეს სიტყვები გაჟღერდეს დღეს და შემდგომ კვლევებს და ქალების ისტორიის წარმოებას დაედოს საფუძვლად.

ბიბლიოგრაფია

გაბაშვილი, ე. (თარიღი უცნობია) „წერილი ქ. ბარბარე სულხანიშვილს", გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის არქივი.

განდეგილი 1915. ქალთა დღის შესახებ. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის არქივი.

გოგავა, ი. 2014. საშუალო სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოების ანალიზი GESJ: Education Science and Psychology 2014 | No.1(27): 125-133

გონაშვილი (რედ) 1973. საქართველოს ისტორიის ნარკვევები , თბილისი: საბჭოთა საქართველო, V ტომი.

მეგრელიძე, ლ. (თარიღი უცნობია) „ქალი ცხოვრებასა და ლიტერატურაში". გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის არქივი.

მელაშვილი, თამთა, რედ. 2013. კატო მიქელაძე: ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები. თბილისი: ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთკავკასიის რეგიონული ბიურო.

მიქელაძეკ. (1917) მიზეზი ქალთა მონობისა და ქალთა მოძრაობისა #17-31.

მიქელაძეკ. (1917) როგორ სდევნიდენ წინათ ქალს და როგორ სდევნიან ახლა.

მიქელაძე კ. (1917) სიტყვა თქმული კატო მიქელაძის მიერ 20 მარტს.

მიქელაძე კ. (1918) ქართველ ქალებს.

მიქელაძეკ. (1917) დედრობითი სქესის შემოქმედება.

მიქელაძეკ. (1918) ჩემი სიტყვა, რომლის წარმოთქმის უფლებაარ მომცა ბ. აკ. ჩხენკელმა ეროვნულ ყრილობაზე.

მიქელაძეკ. (1917) იდეური მებრძოლნი

მიქელაძეკ. (1917) საავტორო სვეტები

მიქელაძეკ. (1917) მოქალაქე რედაქტორო!

მიქელაძე კ. (1917) პატივი ეცით ქალის ნიჭს

მიქელაძე კ. (1917) სიმართლის გზისკენ

მიქელაძეკ. (1917) ქართველი ქალი დღევანდელს ოჯახში

მიქელაძეკ. (1917) ქართველი ქალი დღევანდელს ოჯახში

მელიქიშვილი, გ. (რედ) 1973. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბილისი: საბჭოთა საქართველო, II ტომი.

Reisner, O., 2009. „Interpreting the Past – Analysis Interpreting the Past – From Political Manipulation to Critical Analysis?"Tbilisi Caucasus Analytical Digest: (08/09).

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი (1918) საქართველოს ეროვნული საბჭო.

ტყეშელაშვილი, ნ. 1922. „კავკასიელ ქალთა ბრძოლა სწორუფლებისათვის რევოლუციონურ კულტურულ ფრონტზე". გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის არქივი.

ჭავჭავაძე ი. 1898. „პატარა საუბარი". თბილისი, ივერია: საპოლიტიკოდასალიტერატუროყოველდღიურიგაზეთი #59

ჭავჭავაძე, ი. 2007. თხზულებათა კრებული: პუბლიცისტური წერილები

ხომერიკი, ი. ჯავახიშვილი, მ. აბრამიშვილი, თ. 2012. გენდერული თანასწორობის საკითხი საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას: სახელმძღვანელოების გენდერული ანალიზი, თბილისი.

ხომერიკი ი. და ჯავახიშვილი მ. 2005. ქალთა საზოგადოებრივი საქმიანობა საქართველოში: XIX საუკუნის მეორე ნახევარი XX საუკუნის დასაწყისი. თბილისი: ფონდი ღია საზოგადოება საქართველო.

Bock, G., და Brown, A. 2001. Women in European history. Malden, MA: Blackwell

Scott J. 1986 „Gender Useful Category of Historical Analysis", JSTOR: The American Historical Review, Vol. 91, No. 5. 1053-107